პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

24 ივნისი კვირა 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 147 (15664)

## საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გახსნის წესისათვის

**საქართველოს სსრ** მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია გაიხსნება 1973 წლის 27 ივნისს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 25 და 26 ივნისს 9-დან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახები № 1, № 4, ტელეფონები 99-08-54, 99-58-19, 99-56-19.

27 ივნისს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 8 საათიდან.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1973 წლის 27 ივნისს დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

# ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი

ამერიკის შეერთებულ შტატებში

## ხელი მოაწერეს საგზოთა პავშირ-ამერიკის შეთანხმებას

**ვაშინგტონი.** 22 ივნისი. (საკ-დესის სპეც. კორ.). დღეს თეთრ სახლში საზეიმო ვითარებაში ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის შეთანხმებას ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ.

შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს **ლ. ი. ბრეჟნევსა** და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს **რ. ნიქსონს.**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის შეთანხმებას ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ლ. ი. ბრეჟნევმა,** შეერთებული შტატების სახელით — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა **რიჩარდ მ. ნიქსონმა.**

შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევმა „მიმართა შეკრებილთ და თქვა:

„ბატიჟიმულო ქალბატონებო და ბატონებო, ნება მიბოძეთ მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მონაწილეობდა ამ საზეიმო აქტში, რომელსაც სრულიად სამართლიანად ისტორიულს დაარქმევენ.

თქვენი მხარეული ტაში და ისტამოსფერო, რომელიც მიმდინარეობს ამ შეთანხმების ხელმოწერა, უყველა საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ფართო მხარდაჭერას პოულობს საბჭოთა კავშირი-ამერიკის ურთიერთობაში მომხდარი შემობრუნება, რომელიც დაიწყო მოსკოვში 1972 წლის მაისში და გაგრძელდა აქ ვაშინგტონში 1973 წლის ივნისში.

შემიძლია დავძინო, რომ მე და პრეზიდენტი რ. ნიქსონი შევთანხმდით რეგულარულად ვიქონიოთ კონტაქტები და გავცვალოთ ვიზიტები, რათა განვაგრძოთ და განვამტკიცოთ დაწყებული დიდი საქმე ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ, მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

დოკუმენტის ხელმოწერას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის მხრივ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო,** სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი **ნ. ს. პატოლიჩევი,** სამოქალაქო ავიაციის მინისტრი **ბ. პ. ბუგაევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები **გ. ე. ცუკანოვი, ა. მ. ალექსანდროვი,** სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში **ა. თ. დობრინინი,** საკავშირო გენერალური დირექტორი **ლ. მ. ზამიატინი,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკის შეერთებული შტატების ინსტიტუტის დირექტორი **გ. ა. არბატოვი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი **გ. მ. კორნიენკო,** სხვა ოფიციალური პირნი.

ამერიკის მხრივ იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი **ს. აგნიუ,** სახელმწიფო მდივანი **უ. როჯერსი,** პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში **ჰ. კისინჯერი,** პრეზიდენტის თანაშემწე საშინაო საქმეებში **მ. ლეირდი,** ფინანსთა მინისტრი **ჯ. შულცი** და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სხვა წევრები, დემოკრატთა ლიდერი სენატში **მ. მენსფილდი,** რესპუბლიკელთა ლიდერი სენატში **ჰ. სკოტი,** სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **უ. ფულბრაიტი,** სენატის კომისიათა წევრები, კონგრესმენები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, თეთრი სახლისა და სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლები.

დარბაზში იყო გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტთა დიდი ჯგუფი.

სან-კლემენტე (კალიფორნია), 23 ივნისი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან რ. ნიქსონთან ერთად ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი. ს ურათზე: აეროპორტში შეხვედრის დროს ქალაქის მცხოვრებნი მიესალმებიან საპატიო სტუმარს. საბჭოსი (მიღებულია სატელეფოტელეგრაფით).

## ლ. ი. ბრეჟნევი და რ. ნიქსონი სან-კლემენტეში გაფრინდნენ

**ვაშინგტონი,** 22 ივნისი. (საკ-დესი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან რ. ნიქსონთან ერთად ვაშინგტონიდან თვითმფრინავით გაემგზავრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის სან-კლემენტის (კალიფორნია) რეზიდენციაში, — სადაც გაგრძელდება საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება.

## ლ. ი. ბრეჟნევი სან-კლემენტეში ჩავიდა

**სან-კლემენტე (კალიფორნია),** 23 ივნისი. (საკ-დესი). აქ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან რ. ნიქსონთან ერთად ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

# ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრა

## ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან

**ვაშინგტონი.** 23 ივნისი. (საკ-დესის სპეც. კორ.). გუშინ აქ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი** შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების წარმომადგენლებს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი **ჯ. შულცი,** ვაჭრობის მინისტრი **ფ. დენტი,** ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწეები **ჯ. კონელი** და **პ. ფლენიგანი,** მრეწველთა ერთვნული ასოციაციის პრეზიდენტი **ე. კენი,** ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი **ე. რასტი,** ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის გამგეობის თავმჯდომარე **დ. ნიდჰემი,** „ბენკ ოფ ამერიკის“ პრეზიდენტი **ა. კლაუზენი,** „ფირსტ ნეშენლ სტეი ბენკ ოფ ნიუ-იორკის“ გამგეობის თავმჯდომარე **უ. რისტონი,** „ჩეიზ მანჰეტენ ბენკის“ პრეზიდენტი **უ. ბუჩერი,** „ჯენერალ მოტორს კორპორაციაშნის“ გამგეობის თავმჯდომარე **რ. ჰერსტენბერგი,** „ჯენერალ ელექტრიკ კომპანის“ ვიცე-პრეზიდენტი **ი. ჰუდი,** „იუნაიტედ სტეიტს სტილ კორპორეიშნის“ გამგეობის თავმჯდომარე **ე. სპირი,** „ინტერნეშნლ ბიზნეს მეშინს კორპორეიშნის“ გამგეობის თავმჯდომარე **ფ. კერი,** „დიუპონ ფიბერმორის“ გამგეობის თავმჯდომარე **ჩ. მაკკი,** „ექსონის“ პრეზიდენტი **კ. ჰარვინი,** „ელ პასო ნეჩურალ გეს კომპანის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ბოიდი,** „ოქსიდენტალ პეტროლეუმ კორპორეიშნის“ გამგეობის თავმჯდომარე **ა. ჰამერი,** „სუინდელ-დრესლერ კომპანის“ პრეზიდენტი **დ. მორფი,** „ბოინგ კომპანის“ გამგეობის თავმჯდომარე **ტ. ულსონი,** „პეპსიკო ინკორპორეიტედის“ პრეზიდენტი **დ. კენდალი** და საქმიანი წრეების ბევრი სხვა თვალსაჩინო წარმომადგენელი.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო,** სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი **ნ. ს. პატოლიჩევი,** სამოქალაქო ავიაციის მინისტრი **ბ. პ. ბუგაევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები **გ. ე. ცუკანოვი** და **ა. მ. ალექსანდროვი,** სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში **ა. თ. დობრინინი,** საკადესის გენერალური დირექტორი **ლ. მ. ზამიატინი,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკის შეერთებული შტატების ინსტიტუტის დირექტორი **გ. ა. არბატოვი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი **გ. მ. კორნიენკო,** სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე **ვ. ს. ალხიმოვი,** სხვა ოფიციალური პირნი.

შეხვედრის დაწყებამდე წინ **ლ. ი. ბრეჟნევს** წარუდგინეს მისი მოწაფლენი. ბევრ მათგანს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ისაუბრა საკითხებზე, რომლებიც შეეხება ამერიკის ეკონომიკის სხვადასხვა დარგში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის შესაძლო სფეროებს, ორ ქვეყანას შორის ასეთი თანამშრომლობისა და ვაჭრობის განვითარების ფორმებსა და გზებს. ლ. ი. ბრეჟნევმა გამოიკითხა აგრეთვე, თუ როგორ ვითარდება ციალკეული კომპანიათა საქმიანი ურთიერთობა.

საბჭოთა ორგანიზაციებთან, უპასუხა კითხვებზე სსრ კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების შესაძლებლობათა შესახებ.

შეხვედრის დროს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა **ნ. ს. პატოლიჩევმა** და ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრმა **ჯ. შულცმა** ხელი მოაწერეს ოქმს, რომელიც ითვალისწინებს 31 ოქტომბრამდე სსრ კავშირის საგარეო ფინანსთა მინისტრებს ვაშინგტონში და ამერიკის შეერთებული შტატების კომერციული ბიუროს გახსნას მოსკოვში, და ოქმს საკითხებზე, რომლებიც უკავშირდება ამერიკა-საბჭოთა კავშირის საავაჭრო პალატის შექმნას.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა **ლ. ი. ბრეჟნევი.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მადლობა გადაუხადა მიღების ორგანიზატორებს, რომ შესაძლებლობა მისცეს შეხვედროდა ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენელთა დიდ ჯგუფს. ლ. ი. ბრეჟნევმა გამოიკითხა, თუ რა ისეთი ძვირფასი დაგვიჯდა. მან ძირი გამოუთხარა ხალხთა ნორმალურ, ნამდვილ ადამიანურ ურთიერთობას. და, რა თქმა უნდა, შეაფერხა ეკონომიური, მეცნიერული და კულტურული ურთიერთობის განვითარება.

თავის დროზე უსწავლია ისტორია — ძველი, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი. და ჩვენ ისტორიიდან ვიცით, რომ ოდითგანვე ვაჭრობა თან ახლდა პოლიტიკას, იყო ხალხთა შორის, სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობის არსებითი ნაწილი. მით უმეტეს მართებული ეს ჩვენი დროისათვის. განა ნორმალური იქნებოდა, რომ ჩვენ ხელი მოგაწერა შეთანხმებისათვის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის საფუძველზე ურთიერთობის აღგენის შესახებ და ამავე დროს არ გაგვიგითარებინა ვაჭრობა, ეკონომიური ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის?

შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი შეეხო იმ ახალ მნიშვნელობას, რომელიც ჩვენს ეპოქაში ენიჭება ქვეყნების ვაჭრობას, ეკონომიურ თანამშრომლობას.

— ჩვენ ყველანი, — თქვა მან, — ოკეანასავლელი წლების მანძილზე თანდათანობით ვიმარებთ თავიდან ძველ წარმოდგენებს ამ დიდმნიშვნელოვან საკითხში. და ეს ბუნებრივია, რადგან ეკონომიური ურთიერთობის ძველი ფორმები ალბათ შეესაბამებიან დროის მოთხოვნილებებს. ახალი მასშტაბი შეიქა ციალკეული ქვეყნების მეურნეობას. სწრაფად მიმდინარეობს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციი, რომელის მომოქმედებელი ძალაა ადამიანის გენიალა და შრომის დიადი მიღწევები. დიდ წარმატებებს მიაღწია ტექნიკურისა და განათლების განვითარებამ. ეს სწრაფი პროგრესი იწვევს ადამიანთა მოთხოვნილებებისა და მოთხოვნების დიდ ზრდას და საჭიროს ხდის შრომის სულ უფრო თარეთ საერთაშორისო დანაწილებას, ვაჭრობის, ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას სახელმწიფოთა შორის.

ეს განსაკუთრებით შეეხება დიდ ქვეყნებს, რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს თავიანთი განვითარებაში. მე მხედველობაში მაქვს არა მარტო სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, არამედ ევროპის სოციალისტური ქვეყნებიც. დასავლეთ ევროპის ისეთი ქვეყნები, როგორიცაა საფრანგეთი, გერმანია ფედერაციული რესპუბლიკა, იტალია, აგრეთვე იაპონია და სხვა სახელმწიფოები.

მთლიანად ისახა თუ არა დროის ეს ახალი მოთხოვნები საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის პრაქტიკაში? ვფიქრობ, რომ არა. და სამე ეს ის ღონეა, რომ არ არსებობს რეალური ეკონომიური მოთხოვნილებანი და შესაძლებლობანი, და არც მარტო ის არის, რომ ჩვენი აზროვნება ზოგჯერ ჩამორჩება ეკონომიური ცხოვრების ახალ რეალობებს. მთავარია სხვა რამ — პოლიტიკური პირობები, პოლიტიკური ურთიერთობა, რომლებიც დიდხანს, ბრძოლებდნენ ჩვენი ქვეყნების ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გაფართოებას.

მაგონდება მეორე მსოფლიო ომის პერიოდი, და მაგონდება განსაკუთრებული მოლოდინებით, რადგან ბევრი ომე პირველი დღიდან წითელ მოედანზე გამართულ გამარჯვების პარადამდე, განვიცადე მისი დაწყებითი პერიოდის წარუმატებლობათა სიმწარეც და ჩვენი გამარჯვების სიხარულიც, გამარჯვებისა, რომელიც თქვენთან ერთად მოვიპოვეთ რაგორც მოკავშირეებმა ომ დროს ეკონომიურ ურთიერთობისათვის ყველაზე საშიში საფრთხის — ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა ადამიანები, ისევე როგორც, ალბათ, ამერიკელებიც, ამ გამარჯვებას ზეიმით შეხვდნენ, იმედოვნებდნენ, რომ ალარასოდეს შეიქმნებოდა ომის საფრთხე, რომ დამკვიდრდებოდა მტკიცე მშვიდობისა და ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის ეპოქა.

მაგრამ ამის ნაცვლად დაიწყო ეგრეთ წოდებული „ცივი ომის“ მეტად ხანგრძლივი პერიოდი. აქ ალარ შეგახსენებთ, ვინ დაიწყო იგი, ვინ გამოიტანა ან მისცა ასეთი სახელწოდება.

რა თქმა უნდა, თუ ეს ომი ორ-კავშირებული იყო ადამიანთა დალუპვასთან, და მრავალი ათასი ეაუბედურებული ოჯახი დატოვა. „ცივ ომს“ არ სდევდა ასეთი შედეგები, თუმცა ისიც ძვირად დაგიჯდა. მან ძირი გამოუთხარა ხალხთა ნორმალურ, ნამდვილ ადამიანურ ურთიერთობას. და, რა თქმა უნდა, შეაფერხა ეკონომიური, მეცნიერული და კულტურული ურთიერთობის განვითარება.

ამ პერიოდს „ცივი ომი“ უწოდეს, და იგი იმდენად ყულეცივი იყო, რომ წარმოშვა თავისი დამანგრეველი შესაძლებლობებით აონაბალი იარაღი, — მნიშვნელობაში მაქვს სხვადასხვა ატომური იარაღი, რომლებსაც შეუძლიათ მოსსონ ბევრი ისეთი რამ, რაც მრავალი წლის მახანილზე შეუქმნია ხალხთა დაუცხრომელ შრომას.

მინდა ეკითხო საკუთარ თავს და ყველა აქ შეკრებილს: განა „ცივი ომი“ კარგი პერიოდი იყო, განა იგი ემსახურებოდა ჩვენი ხალხების, მსოფლიოს რომელიმე ხალხის ინტერესებს? და მე გიპასუხებთ ამ კითხვაზე: არა, არა და ყოველ ერთხელ არა! ჩემი აზრით, თქვენი პასუხიც ასეთი იქნება (დამსწრენი ლ. ი. ბრეჟნევის ამ სტატიებს ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ).

შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი შეეხო იმ შედეგებს, რომლებიც „ცივი ომის“ პერიოდს მოჰყვა ეკონომიური ურთიერთობისათვის, ხაზი გაუსვა, რომ პოლიტიკურ სფეროში შექმნილი დაძაბულობა აიძულებდა საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებს ჩაეტარებინათ, ან აძლევდა მათ თანამშრომლობის ფართო განვითარების შესაძლებლობას. მაგრამ, თუ ეს 10-20 წელს გრძელდებოდა, თქვა მან, არ ნიშნავს, რომ ასეთი მდგომარეობა უსასრულოდ უნდა გაგრძელდეს.

ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა, რომ მთავრობათა და მათი ხელმძღვანელების მზადყოფნა, აქტიური მისწრაფება, უნარი ბოლო მოუღონ ასეთ წარსულს — როგორც პოლიტიკაში, ისე ეკონომიკაში, — თავი დაიღწიონ ძოძველებულ წარმოდგენათა და ტრადიციათა ტყვეობას, დიდმნიშვნელოვანი კრიტერიუმები გახდა, რომელთა მიხედვით იმსჯელებენ ხალხები მათ შესახებ, გადაწყვეტენ: მხარი დაუჭირონ მათ თუ არა. ეს ხომ მათს ძირეულ ინტერესებს შეესაბამება. გაბედულად უნდა დავამსხვრიოთ დრომჩამოსული, მოძველებული, ეიაროთ წინ მშვიდობის განმტკიცების. დაძაბულობის შენელების, თანამშრომლობის განვითარების გზით.

მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, განაგრძო ლ. ი. ბრეჟნევმა, რომ ჩვენს პარტიასა და მთავრობას ეს მიჩნეული თავიანთი პოლიტიკის მაღალ მიზნად. და მას სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი. მინდა ვთქვა, რომ ამ მხრივ ვალში არ რჩება ამერიკელი ხალხი. თავისი პოზიტიური განწყობილებებით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი, თქვენ, საქმიანი წრეების წარმომადგენლები. მხოლოდ ერთობლივი მეცადინეობით შეგძელით დადგმოდით ვითარების დაწმენდის, გაკანალიზების გზას, ყოველივე ომისაგან დაწმენდის გზას, რაც ხელს უშლის ნორმალურ, მშვიდ, ხელისუფლი ფლის რწმენით ცხოვრებას. ასეთი განწყობილებით, ჩამოვედით მე, ამ ჩემი ამხანაგები ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩამოვედით ყოველგვარი წინასწარ აკვიატებული აზრებისა და ცრურწმენების გარეშე.

ლ. ი. ბრეჟნევი შეეხო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში უკანასკნელ წელს მომხდარ იმ დიდ პოზიტიურ ძვრებს, რომლებმაც დასაბამი მისცეს ახალ ისტორიულ ეტაპს, რომელიც შეესაბამება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხების. სხვა ქვეყნების ხალხების ინტერესებს. ამტკიცე მშვიდობისა-კენ, დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობისაკენ მიმავალ ამ გზაზე, განაგრძო მან, ჯერ კიდევ შორს არის ფინიში. მაგრამ ის, რასაც მივაღწიეთ წლის განმავლობაში, აშკარაოდ, რასაც მივაღწიეთ აბლანდილი შეხვედრის დროს, უფლებას გვაძლევს ვთქვათ: ამ დიდმნიშვნელოვან დისტანციაზე მტკიცე ტემპი ავიღეთ და, მასთან, კარგი სპორტსმენებივით შეგვძელით მოგვეგვარებინა, სტაბილური გაგვეხადა სუნთქვა. და ეს საფუძველს გვაძლევს ვიქონიოთ შემდგომი წარმატებული წინსვლის იმედი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი შეეხო მოლაპარაკებს, რომელიც უკანასკნელ დღეებში გაიმართა საბჭოთა

(დასასრული მე-2 გვ.).

# შეთანხმება

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ

**საბჭოთა** სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, ქვემოთ მხარეებად წოდებულნი, ხელმძღვანელობენ ომისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების მიზნებით,

შეგნებული აქვთ რა, რომ ატომურ ომს დამანგრეველი შედეგები ექნებოდა კაცობრიობისათვის,

სურთ რა შექმნან ისეთი პირობები, როცა მსოფლიოს ყოველ კუთხეში შემცირდებოდა და საბოლოო ანგარიშით აღიკვეთებოდა ატომური ომის წარმოქმნის საფრთხე,

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით ნაკარნახ თავიანთ იმ ვალდებულებათა შესაბამისად, რომ დაიცვან მშვიდობა, თავი შეიკავონ ძალის გამოყენებით დამუქრებისა ან მისი გამოყენებისაგან და თავიდან აიცილონ ომი და თვითეული ამ მხარის მიერ ხელმოწერილ შეთანხმებათა შესაბამისად,

ითვალისწინებენ რა 1972 წლის 29 მაისს მოსკოვში ხელმოწერილ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის საფუძვლებს,

დადასტურებენ, რომ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის განვითარება მიმართული არ არის სხვა ქვეყნებისა და მათი ინტერესების წინააღმდეგ,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

### მუხლი I

საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები თანხმდებიან, რომ მათი პოლიტიკის მიზანია ატომური ომის და ატომური იარაღის გამოყენების საფრთხის აღკვეთა.

ამის შესაბამისად მხარეები თანხმდებიან, რომ იმოქმედებენ ისე, რომ თავიდან აიცილონ ისეთი სიტუაციების შექმნა, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ მათი ურთიერთობის საშიში გაფაბრება, თავიდან აიცილონ საომარი კონფრონტაციები და რომ გამორიცხონ ატომური ომის წარმოშობა მათ შორის და თვითეულ ამ მხარეს და სხვა ქვეყნებს შორის.

### მუხლი II

მხარეები თანხმდებიან, 1 მუხლის შესაბამისად და ამ მუხლში აღნიშნული მიზნის შესასრულებლად, იხელმძღვანელონ იმით, რომ თვითეული მხარე თავს შეიკავებს ძალის გამოყენებით დამუქრებისა ან მისი გამოყენებისაგან მეორე მხარის წინააღმდეგ, მეორე მხარის მოკავშირეთა წინააღმდეგ და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, იმეორებენ, რომ ასეთ მოქმედებებს, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შექმნან საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. მხარეები თანხმდებიან, რომ იხელმძღვანელებენ ამ მოსაზრებით თავიანთი საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებისას და საერთაშორისო ურთიერთობის დარგში თავიანთი მოქმედების დროს.

### მუხლი III

მხარეები ვალდებულებას კისრულობენ თავიანთი ურთიერთობა ერთმანეთთან და სხვა ქვეყნებთან განავითარონ ისე, რომ ეს შეესაბამებოდეს ამ შეთანხმების მიზნებს.

### მუხლი IV

თუ რომელიმე მომენტში ურთიერთობა მხარეებს შორის ან ერთ-ერთ ამ მხარესა და სხვა ქვეყნებს შორის ისეთი იქნება, რომ შეიძლება გამოიწვიოს ატომური კონფლიქტის საფრთხე, ან თუ ურთიერთობა იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ამ შეთანხმების მონაწილენი არ არიან, ისეთი იქნება, რომ შეიძლება გამოიწვიოს ატომური ომის საფრთხე სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ან ერთ-ერთ ამ მხარესა და სხვა ქვეყნებს შორის, საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები, მოქმედებენ რა ამ შეთანხმების დებულებათა შესაბამისად, დაუყოვნებლივ დაიწყებენ ერთმანეთთან სასწრაფო კონსულტაციებს და ყოველ ღონეს იხმარენ ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

**საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით**

**ლ. ი. ბრეჟნევი**

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი**

### მუხლი V

თვითეული მხარე თავისუფალი იქნება აცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანსა და მოკავშირე ან სხვა ქვეყნების მთავრობებს მიმდინარეობა და შედეგები კონსულტაციებისა, რომლებსაც მიმართავენ ამ შეთანხმების IV მუხლის შესაბამისად.

### მუხლი VI

ამ შეთანხმებაში არაფერი არ უნდა ეწმიდოდეს ან ასუსტებდეს:

ა) ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის ხელშეუვალ უფლებას, რომელიც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლით;

ბ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებებს, მათ შორის ამ დებულებებს, რომლებიც შეეხება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვას თუ აღდგენას; და —

გ) ვალდებულებებს, რომლებიც იქნება თვითეულმა მხარემ თავისი მოკავშირეების ან სხვა ქვეყნების მიმართ ხელშეკრულებებით, შეთანხმებებითა და სხვა შესაბამისი დოკუმენტებით.

### მუხლი VII

ეს შეთანხმება უვადოა.

### მუხლი VIII

ეს შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.

შედგენილია 1973 წლის 22 ივნისს ქალაქ ვაშინგტონში ორ ეგზემპლარად, თვითეული რუსულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელით**

**რიჩარდ მ. ნიქსონი**

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი**

### მის აღმატებულებას

## რიჩარდ მ. ნიქსონს

### ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს

თეთრი სახლი, ვაშინგტონი.

**მიიღეთ,** ბატონო-პრეზიდენტო, ჩვენი გულწრფელი მოლოცვა ორბიტულ სადგურ „სკაილაბთან“ ამერიკელ კოსმონავტთა პირველი ეკიპაჟის ფრენის წარმატებით დამთავრებისა და კოსმოსურ ხომალდ „აპოლონით“ დედამიწაზე მშვიდობით დაბრუნების გამო.

გთხოვთ მიიღოცოთ და ყოველივე საუკეთესო უსურვოთ კოსმონავტებს ჩარლ კონრადს, ჯოზეფ კერვინს და პოლ ვეიცს.

**ნ. პოდგორნი,**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**

## ნ. ვ. პოდგორნიმ მიიღო

### ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ 22 ივნისს კრემლში მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი დოქტორი ფ. კენდლერი, რომელიც ამერიკელ მეცნიერთა დელეგაციას მეთაურობს.

გაიმართა მეგობრული საუბარი, რომლის დროს მხარეები შეეხნენ საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის, აგრეთვე საბჭოთა და ამერიკელ მეცნიერთა სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების საკითხებს.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი მ. ვ. კელდიში და ამერიკის შეერთებული შტატების დროებითი საქმეთა რწმუნებული საბჭოთა კავშირში ა. დობრინი.

(საკ-დესი).

## ხელი მოაწერეს ოქმს

### სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისათვის

**ვაშინგტონი,** 22 ივნისი. (საკ-დესი). დღეს აქ ხელი მოაწერეს ოქმს იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლის 31 ოქტომბრამდე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობა გაიხსნება ვაშინგტონში და ამერიკის შეერთებული შტატების კომერციული ბიურო — მოსკოვში.

ამავე დროს ხელი მოაწერეს ოქმს ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

# ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან

(დასასრული).

და ამერიკელ ხელმძღვანელებს შორის. და თქვა, რომ პოლიტიკურ პრობლემებთან, ატომური ომის თავიდან აცილებისა და სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის ღონისძიებებთან ერთად მოლაპარაკების დროს დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს აგრეთვე ორი ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობის განვითარების საკითხებმა.

— მე და პრეზიდენტ ნიქსონს რა თქმა უნდა, კონკრეტული საუბარი არ გვქონია ომის შესახებ, თუ სახელდობრ რომელ კომპანიასთან სჯობს თანამშრომლოს საბჭოთა კავშირმა, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა. მაგრამ ჩვენ მთლიანად შევთანხმდით, რომ ორივე მხარემ ახალი იმპულსი უნდა მისცეს და მაქსიმალურად დაუჭიროს მხარი ამერიკის შეერთებული შტატების საქმიან წრეებსა და საბჭოთა კავშირის შესაბამის უწყებებსა და დაწესებულებებს, რომლებიც ცდილობენ ახალი, ფართო გზა გაუკვალონ ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობასა და ვაჭრობას. აქ რომ დიდი შესაძლებლობანი გვაქვს, სრულიად უეჭველია. სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები უდიდესი ეკონომიური პოტენციალის მქონე ქვეყნები არიან. ჩვენ გვაქვს უზარმაზარი ბუნებრივი სიმდიდრეები, ჩვენ პატიოსნად ვაღიარებთ, რომ რაღაცაში თქვენ, ამერიკელები, წინ ხართ. მაგრამ რაღაცაში ჩვენ გაგისწარით. და თუ ჩვენ გავაერთიანებთ ძალებს და ფართოდ, მასშტაბურად მივუდგებით საკითხს, ამასთან მხედველობაში ვიქონიებთ ხანგრძლივ იოლოდენ წლის პერსპექტივას, დავიწყებენ ცდებით, რომ უდიდესი შესაძლებლობანი გვესახება.

ვფიქრობ, რომ ასეთი შესაძლებლობანი პრაქტიკულად გვაქვს ყველა სფეროში, ყველა დარგში — ზოგან ნაკლებად, ზოგან მეტად, მაგრამ ასეთი შესაძლებლობანი, უეჭველად გვაქვს.

და ჩვენ, განაგრძო ლ. ი. ბრეჟნევმა, მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობანი. შემიძლია გითხრათ, რომ როცა ამ ცოტა ხნის წინათ უმაღლეს ფორუმზე, როგორიცაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, განვიხილავდით მდგომარეობას სსრ კავშირის საგარეოეკონომიური ურთიერთობის დარგში, დავასკვენით: დღეს ვეღარ დაგვაკმაყოფილებს ის, რასაც მივაღწიეთ. დაისვა ამ ურთიერთობის მკვეთრად გაფართოების საკითხი. გულახდილად მოგახსენებთ, მწვავედ გავაკრიტიკეთ ბევრი ჩვენი უწყება, რომლებიც ამ საქმეებს განაგებენ, იმისათვის, რომ აკლიათ მასშტაბურობა, სითამამე, აქვთ მოძველებული წარმოდგენები, ნაკლოვანებანი მუშაობაში.

ასევე გულახდილად მინდა აქ არა პირს უკან, არამედ პირში გავაკრიტიკო ცოტა ამერიკის საქმიანი ადამიანებიც, რომლებსაც ვ. ი. ლენინის დროიდან პატივს ვცემთ სწორედ ამ საქმიანობისათვის, გავაკრიტიკო იმისათვის, რომ ისინი ხშირად არ იჩენენ ჯეროვან სითამამესა და მასშტაბურობას, ძველი წარმოდგენებით ცხოვრობენ.

შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევმა გამოთქვა იმედი, რომ ამ დარბაზში შეკრებილი ამერიკის საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლები და მთავრობის მოღვაწეები მთლიანად დაუჭერენ მხარს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებისა და ორივე ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების კურსს, რომელსაც შარშან დავადექით მოსკოვში და განვამტკიცეთ ახლა ვაშინგტონში მოლაპარაკების დროს.

და კიდევ ერთი საკითხი, განაგრძო მან. ჩემთვის შეუძლებელია, უზრდელობად მომაჩნია თქვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა. ვფიქრობ, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობისადმი, ისევე როგორც ყველა სხვა ქვეყნების ურთიერთობისადმი მიდგომაში, მეტად საჭიროა გაერთვალისწინოთ ის, რომ ყოველ ხალხს აქვს თავისი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება, თავისი ეროვნული თავისებურებანი, ტრადიციები და ზნე-ჩვეულებანი და ყოველივე ამას ჯეროვნად უნდა ვცეთ პატივი.

მაგრამ ჩემი აზრადღება მიპაყრო იმან, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველას როდი სურს ანგარიში გაუწიოს ამას. მხედველობაში მყავს ისინი, ვისაც, უყვარს ყოველ ჩვენს ერთობლივად მიღწეულ პოზიტიურ საქმეში შეიტანოს თავისი ეგრეთწოდებული „შესწორებანი“. რა თქმა უნდა, ყველას აქვს უფლება თავისი აზრი იქონიოს და გამოთქვას, წამოაყენოს თავისი წინადადებანი და, თუ გნებავთ, შესწორებანიც, მაგრამ საქმე ის არის, რა იმალება ამ „შესწორებებს“ უკან, რას ემსახურებიან ისინი — ახლანდელ პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა ინტერესებს, თუ, პირიქით, საქმეს, რომელიც ვნებს ამ ინტერესებს.

დასასრულ მინდა მოგახსენოთ: მუდამ მწამდა და მწამს ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანის გონება, მისი ჭკუა და ნიჭი ამარცხებენ ბნელეთს. სწორედ გონებამ, კონსტრუქციულმა მიდგომამ, გონივრულმა მიდგომამ, რომ საჭიროა ვიაროთ ურთიერთობის გაუმჯობესების გზით, აღმოვფხვრაოთ ყოველივე, ის, რაც ესოდენ სერიოზულად აფუჭებდა ამ ურთიერთობას.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს და ხშირად გაისმოდა ტაში.

სურათზე: კახეთის რაიონის ხოფილ ქვემოკალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომბაინერი დ. კოდალაშვილი.

## ეკლესიებია რსდ პარტიის მეორე ყრილობას

**საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომმა 22 ივნისს გაუწია „თბილისის“ რედაქციასთან ერთად მოაწყო თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა რსდმპ მეორე ყრილობის 70 წლისთავს. კონფერენცია გახსნა პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ მ. ჭავჭანიძემ.**

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო ინფორმაციის სექტორის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ი. მირცხულავამ გააკეთა მოხსენება „ვ. ი. ლენინი —ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის დამაარსებელი“.**

**„რსდმპ მეორე ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა“ — ასეთი იყო ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის გ. თევზაძის მოხსენების თემა.**

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. შელიავამ წაიკითხა მოხსენება „რსდმპ მეორე ყრილობის პირველი წესდება“.**

**„რსდმპ მეორე ყრილობა და ამერიკაკავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები“ — ასეთი მოხსენება კონფერენციაზე გააკეთა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის პარტიული მშენებლობის სექტორის გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გ. ჭეინიამ. (საქართველოს).**

## დაჯილდოება

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 22 ივნისის ბრძანებულებებით „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოდნენ:**

**პროფესორი ვახტანგ ხიმონისძე ზანიძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე, — ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით.**

**მედეა დიმიტრიან ასული უზნაძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით.**

## ადგილობრივი საბჭოების პირველ სესიებზე

**საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მიმდინარეობს ახლადარჩეული ადგილობრივი საბჭოების პირველი სესიები. გორკანის რაისაბჭოს სესიამ რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია რ. ნასარიძე. გორის სექალაქო საბჭოს სესიამ საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია ე. ბუთხუზი. კასპის რაისაბჭოს სესიამ რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩია გ. გოგიაშვილი.**

# ფაქტები, მოვლენები, კომენტარები

## დიდი ნვლილი მშვიდობის საქმეში

### ამერიკული პრესა ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრებისა და მოლაპარაკების შესახებ

ვაშინგტონი, 28 ივნისი. (საკადესი სპეც. კორ.). ამერიკის პრესა, რადიო და ტელევიზია კვლავ გაცხოველებით აშუქებენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის აქაურ მოლაპარაკებას, ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრას ამერიკის შეერთებული შტატების სენატორებთან.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, რომ გუშინ ხელმოწერილი დოკუმენტი „სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემდგომი შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკების ძირითადი პრინციპები“ საბჭოთა ხელმძღვანელის ლ. ი. ბრეჟნევისა და პრეზიდენტ რ. ნიქსონის უმაღლესი დონის მოლაპარაკების უდიდესი მიღწევაა“. გაზეთები მაღალ შეფასებას აძლევენ აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებას ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

ბევრი გაზეთი, რომლებიც შეერთებული შტატების სულ სხვადასხვა რაიონში გამოდის, აღნიშნავს ლ. ი. ბრეჟნევის დიდ პირად წვლილს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის წარმატებულ განვითარებაში. გავლენიანი გაზეთი „ბოსტონ გლობი“ წერს: „ლ. ი. ბრეჟნევი არა მარტო გაბედული ნოვატორი და ახალი საბჭოთა პოლიტიკის შემოქმედია, არამედ გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწეც არის, რომელმაც იცის, როგორ უნდა მიაღწიოს საუკეთესო შედეგებს“. ლ. ი. ბრეჟნევის ვაშინგტონის მოლაპარაკებს, — ხაზს უსვამს გაზეთი, — ახალ საფეხურზე აყავს კონტაქტები სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიურ საკითხებზე“.

სათაურით „ბრეჟნევი ვაშინგტონის პატივისცემას იმსახურებს“, „კრისჩენ საიენს მონიტორი“ წერს: უმაღლესი დონის შეხვედრის დროს სათელი ხდება, რომ ლ. ი. ბრეჟნევი მტკიცე დომინირებულ პოზიციებს იკავებს. მან თავი გამოიჩინა, ხაზს უსვამს გაზეთი, როგორც საქმის მცოდნე პოლიტიკურმა მოღვაწემ, რომელიც ოსტატურად იცავს თავის პოზიციას. ეს დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

საბჭოთა ლიდერი, წერს შემდეგ „კრისჩენ საიენს მონიტორი“, დამაჯერებლად უწევს პრობაგანდას თავის იდეებს. გაზეთს მოჰყავს ერთ-ერთი რესპუბლიკელი სენატორის ვანცხადება იმის შესახებ, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ლ. ი. ბრეჟნევთან შეხვედრას ვაშინგტონში. „ლ. ი. ბრეჟნევმა ახლა უკეთ იცის, რას ფიქრობენ კონგრესმენები და სრულიად აშკარაა, რომ კონგრესმენებიც დიდი პატივისცემით გაისხენებენ ლ. ი. ბრეჟნევისადმი, როგორც პოლიტიკური მოღვაწისადმი“.

ცნობილმა რესპუბლიკელმა სენატორმა ჩ. პერსიმ განაცხადა, რომ მისი აზრით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი „ძლიერი, გამჭრიახი მოღვაწეა, რომელიც შედმეწინეთ გრძნობს პოლიტიკას“, „კრისჩენ საიენს მონიტორის“ აზრით, საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებების შედეგად იქმნება ხელშემწყობი ვითარება გამალებული შეიარაღების შეზღუდვისათვის და, საბოლოო ანგარიშით, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის შემდგომი განვითარების საფუძვლის შექმნისათვის. ეს, აღნიშნავს „კრისჩენ საიენს მონიტორი“ სარედაქციო სტატიაში, რამდენადმე იმით აიხსნება, რომ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ზოახდინა ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრამ 25 გავლენიან კონგრესმენთან. ახლა, წერს გაზეთი, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის ზოგიერთი მოწინააღმდეგეც კი მზად არის გადასინჯოს თავისი პოზიციები.

ცნობა სენატორებთან ლ. ი. ბრეჟნევის საუბრის შესახებ გაზეთმა „ჩიკაგო სან-ტაიმსმა“ დაბეჭდა სათაურით „რუსი ხელმძღვანელი წინ სწევს ვაჭრობის საკითხებს სენატორებთან შეხვედრაზე“. როგორც გაზეთი წერს, ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელიც იღწვის, რომ კონგრესმა მოსპო დაბრკოლებანი საბჭოთა კავშირისათვის ვაჭრობაში უდისკრიმინაციო რეჟიმის მინიჭების გზაზე, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკელ კანონმდებლებზე. „ლ. ი. ბრეჟნევის მოწოდებამ შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ვაჭრობის გაფართოებისათვის კონგრესში გარკვეული მხარდაჭერა პოვა“, — ხაზს უსვამს გაზეთი.

„ადამიანი — რეკლამა“ პარიზის ქუჩებში.

### ოფიციალური ვიზიტით

23 ივნისი. (საკადესი). პარასკევს საღამოს აქ ვიზიტით ჩამოვიდა ლიბიის რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარე მ. ალ-ფადი. როგორც მენის საგანგებო იტყობინება, მას „დიდმნიშვნელოვანი მოლაპარაკებანი“ ექნება ეგვიპტის არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტთან ა. სადათთან.

### ნიუ-იორკი

## უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება

**გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ფედერაციული რესპუბლიკა შედიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში**

**28 ივნისი. (საკადესი). უშიშროების საბჭომ განიხილა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობათა განცხადებანი და ურჩია დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას ორივე სახელმწიფო მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.**

**უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ — სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ი. ა. მალიკმა მიუღოცა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ეს გადაწყვეტილება.**

### კარიზი

## ჟ. პომპიდუს ინტერვიუ

**28 ივნისი. (საკადესი). გუშინ საფრანგეთის რადიოთი და ტელევიზიით გადაცემულ ინტერვიუში საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟ. პომპიდუმ განაცხადა, რომ ემზადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ახალი შეხვედრისათვის.** პრეზიდენტმა მსმენელებს შეახსენა, რომ არაერთხელ შეხვედრია ლ. ი. ბრეჟნევს და ყოველთვის პოულობდა თავის საბჭოთა თანამოსაუბრესთან „თანხმობის პუნქტებს“. „ჩვენ ორივენი, — თქვა საფრანგეთის პრეზიდენტმა, — ბოლოწრფელად ვესწრაფვით დაძაბულობის შენელებას ევროპასა და მთელ მსოფლიოში. აქ შეგვინარი საფუძველი გვაქვს მოქმედებისათვის. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ აგრეთვე საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ფართო ორმხრივ თანამშრომლობას“.

შემდეგ პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ლ. ი. ბრეჟნევთან შეხვედრა საშუალებას მისცემს ორივე მხარეს ერთმანეთს გაუზიარონ შთაბეჭდილებანი ბოლო დროს გამართული ვიზიტებისა და მოლაპარაკების შესახებ.

ჟ. პომპიდუმ ეს ინტერვიუ მისცა ბონში, სადაც ორი უკანასკნელი დღის მანძილზე პოლიტიკური კონსულტაციები ჰქონდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერთან ვ. ბრანდტთან.

## ამერიკელი კოსმონავტების დაბრუნება დედამიწაზე

**28 ივნისი. (საკადესი). დღეს „სკაილების“ ორბიტული სადგურის პირველმა ეკიპაჟმა დაამთავრა 28-დღიანი ფრენა და მშვიდობიანად დაბრუნდა დედამიწაზე.**

კოსმონავტებმა ჩ. კონრადმა, ჯ. კერვინმა და პ. ვეიცმა დაამთავრეს „სკაილების“ ზოგიერთი საბორტო სისტემის კონსერვაცია და შემდეგი ეკიპაჟის მიღებისათვის მზადება და გადავიდნენ სადგურთან შეპირაპირებულ „აპოლონის“ ხომალდში. 11 საათსა და 55 წუთზე მოსკოვის დროით ხომალდი კოსმონავტებითურთ მოსცილდა სადგურს. კოსმონავტები 45 წუთს დაფრინავდნენ „ცეცხრი ლაბორატორიის“ გარშემო, დათვალიერეს იგი. შემდეგ ჩართეს ხომალდის ძრავა და უფრო დაბალ ორბიტაზე გადავიდნენ. სამი საათის შემდეგ დაიწყეს დამუხრუჭება და ხომალდი შეეიდა დედამიწის ატმოსფეროს მკვრივ ფენებში.

16 საათსა და 50 წუთზე „აპოლონის“ ხომალდის ეკიპაჟის ნაკეთურები, რომელშიც სამი კოსმონავტი იყო, დაეშვა წყლის ზედაპირზე. წყნარი ოკეანის გაანგარიშებულ ადგილას. როგორც დაშვებისთანავე გადმოსცა ხომალდის მეთაურმა, ყველა კოსმონავტი თავს ჩინებულად გრძნობსო.

ნაკეთურისაკენ გაემართა ავიამზიდი „ტიკონდეროგა“, რომელიც დაახლოებით 10 კილომეტრზე იყო დაშვების ადგილიდან. ნახევარი საათის შემდეგ ნაკეთური და მასში მყოფი კოსმონავტები ამწით ავიამზიდის გემბანზე აიტანეს.

ექიმმა კოსმონავტმა ჯ. კერვინმა გაიზომა და ამხანაგებსაც გაუზომა მაჯის ცემა და სისხლის წნევა. კერვინის შეფასებით, სამივე საკმაოდ კარგად გრძნობდა თავს, რათა, თვითონ გამოსულიყვნენ ნაკეთურიდან გემბანზე.

მომლიმარი კოსმონავტები ზედიზედ გამოვიდნენ გემბანზე, სადაც მათ მიეხალმა ავიამზიდის ეკიპაჟი, შემდეგ ისინი ჩასხდნენ სპეციალურ ფურგონში, სადაც დაიწყო კოსმოსური საფრენის ეკიპაჟის ფრენის შემდგომი ექვსსაათიანი სამედიცინო გამოკვლევა.

### ტოკიო

## ვატიკანის გადაწყვეტილება

**28 ივნისი. (საკადესი).** ვატიკანი მონაწილეობას მიიღებს სრულიად ევროპის თათბირში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე, რომელიც 3 ივლისს იწყება ჰელსინკში. ეს განაცხადა დღეს რომის პაპმა პავლე VI სიტყვაში, რომელიც კარდინალებისა და კურიის პრელატების წინაშე წარმოთქვა. მან აღნიშნა, რომ ვატიკანი თანახმაა მონაწილეობა მიიღოს უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილ სრულიად ევროპის თათბირში, რადგან „ეს ინიციატივა აინტერესებთ არა მარტო ევროპის ქვეყნებს, არამედ მას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ერთა მთელი ოჯახისათვის“.

## ეროვნული ფერადოვანი

**ეროვნული ფერადოვანი ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული

# საკუთარი გამარჯვება

**ეს დარბაზში** არც ისე იშვიათად ვყოფილვარ. მწერალთა ყრილობა, კომკავშრის ყრილობა, აქტივი... მაინც გავბედავ და ვიტყვი, რომ დღეს პირველად ვარ, გუშინ და დღეს, საქართველოს კომკავშირის აქტივზე, პირველად ვარ. მთელი, სავსე, აღგზნებული...

ბჭირა, რაც ითქვა, თუმცა მე არათერი მითქვამს, ითქვა ის, რაც მე უნდა მითქვა. მიხარია, რომ სწორედ ეს ითქვა, რაც უნდა მეთქვა! ვისმენდი გუშინ, ვისმენ დღეს, მოვისმენ ხვალ, ზეგ, მაზეგ, ყოველდღე, ამიერიდან. აქამდე ოკეანეს მთქმელის, ოკეანეს მკვნელის, ოკეანეს მწერლის ოდნავ შემშურებია. წამი, ორი, სამი და გაუარეა. ვისმენდი გუშინ, ვისმენ დღეს, მოვისმენ ხვალ, ზეგ, მაზეგ და ოოტის ოდენადაც არა მშურს, არ შემშურდება, რადგან შეიფლებელია შეგშურდეს საკუთარი გამარჯვება თუნდაც ოდნავ. ვისმენ და მიხარია საკუთარი გამარჯვება.

ვგრძნობდი, რომ ახლოს იყო ეს ყველაფერი, მაგრამ არ მეგონა ასე ახლოს, თავლწინ, თითქმის ხელში, ჩვენში თუ იქნებოდა...

საქმე ეს არის, რომ ეს „თითქმის" აღარ არის! აღარ არის ხელში, აღარც დარბაზში, აღარც მთქმელში, აღარც მსმენელში...

გუშინ, დღეს, ხვალ, ზეგ და ამიერიდან ყოველთვის!.. რომ აღარ არსებობს ის, რაც უნდა გააკთოს მან და არა მე, რაც უნდა გააკთოს სხვამ და არა მე, რაც უნდა თქვას სხვამ და არა მე. ამიერიდან აღარ თქმის სხვაა დამნაშავე და სხვაა მხსნელი...

ეს ვარ მე, ვართ ყველანი და ვიქნებით. ოდიდესი პასუხისგებლობა და უდიდესი სიხარული. ამას ვგრძნობდი გუშინ, ვგრძნობ დღეს, ვიგრძნობ ხვალ, ზეგ და მარადის!..

ეს ჩემი ოთხ წელიწადის ჩანაწერი გახლავთ ამ დღეებში გამართული საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე. შეფიცებული გულით, შეხსენებული ყალმით.

არ დადგა, არ გაჩერდა სიტყვა. თრინდა ოგი და აკიკინებული დადგოდდი. მეორე დღესაც, მესამე, მეოთხე, მეხუთე დღესაც. ჩემი უბის წერნაქის მცირე ჩანაწერი აირსტატივით მეჭაჩება ხელით. ზეგით და ზეგით. ვგრძნობ სიმსუბუქეს და სიმძიმეს, მრცხვენია ბალასტისა, ეცრი მას, ავდიკარ. ჯერ თბილისი გამოჩნდა, შემდეგ შემოგარენი. ყარი ბალასტს ჩემი სულიდან, ხორციდან, ავდიკარ, ავდიკარ.

სიტყვა, სადაც ჩემი პირადი სამხილებელიც ბევრი დაეთნახე, არა მარტო ჩემი, ჩემი ტოლების, სწორების, უფროსების და უმცროსების ბორძიკით განვლილი დღეები...

ბალასტმა გაზრდა იკის, თუ თავის დროზე არ მოეთათეროვე და არ ისროლე ნაგვის გორაზე, გაზრდა იკის, ბეღიბა ფეხებში, დგას მტკვრი და აბლაბუდა. გაქეკეული ვედრო, დაბილული ცელის ნამტკვრევი, ეკბილი ხერხი, მილები, ოემელის მკლავები, დაბრეკილი საყიდრები, ბენზინიები, ანგარიშვადრი მტკრისფერი წიგნები, დიდხნის დამძიმებული ეძრაობით ერთმანეთს. შეზრდილი ფურცლებით ფუტურო ნაპობებივით რომ ხედ ქმნილან და პირველსახეს მაპბრუნებიან... საოჯახო ჯაროს არა უშავს რა: ეჭიდან მოეკლილ, აქედან მოეკლილ, ადადგამ ნაბიჯს, გაიწვდი ხელს და ვაიგვალახით მაინც მიაგნებ იმას, რაც ეპირდება.

ძნელია ჯართი სულისა, ურთიერთობებისა, დამოკიდებულებებისა.

და ეს დღეები ვყრი სულიერ ბალასტს, ოსწორმასწორობ შეხორციებულ ბუნების ეიმაღლესი ქმნილების ტვინის უხიოლე, ეთვალავ ხვიარებში. ტვინის ფითრი — ოსაშინელესი ტკივილები და ბრაზი საკუთარ ურთიერთობათა კინაღამ დაკვიანებული ოპერაციებისა წყდება, მთელდება, იჭრება, იმტკრევა. ნათდება, ნათდება. ნათდება!

ავდიკარ, ავდიკარ, ავდიკარ!..

ვხედავ თრიალეთისაკენ დაძრული ფარებს, გადათეთრებულ დარიალს, ნოღაიდან — სამშობლოსაკენ, ეგერვ სამშობლოდან სამშობლოსაკენ. ვხედავ ქინვალის წყალსაცავთან აღრეკილებულ რკინას და მასზე გარინდულ ანანურის ციხე-ალავანთ-სოყდარს.

თვალწინ ეშლება ვზა-მარცხიანი, ალა-მაპმადის ურცხვი ურცხვობით აღბეჭდილი ანანურისაკენ. გადადის ქედზე ვზა ახალი, ეკლიან ფარები ახალი ვზით. ნოღაიდან სამშობლოსაკენ, სამშობლოდან ნოღაისაკენ, ჭართველი მწყემსების მეორე სამშობლოსაკენ... ეარეთ, ფარებო, სალამი, მწყემსებო! მოკითხვა დადგეგინთეთ... ხო არ დაიღალეთ, ბიეებო, ბიძიებო, პაპებო?!. ბოლსატკენს ბეგრს ალარას გადგრონებთ. ოკეთისობისაკენ მიეფიდთ ქალაქელ ვაეებს საქმე. თქვენი ყურით გაიგონებთ, თქვენი თვალით დაინახეთ. ფლეს, ხვალ, ზეგ და ამიერიდან ყოველთვის... ხო ვეფიბნებოდით, გამგრდათ-მეთქი... ეკი ვეფიბნებოდით!..

ალაზნის მშვენო — ალაზანშვენო!.. წნორო-წნორისწყალო — ეიმშვენეკრისო. პატარა ლიახვო, შენც გაგიბეგნენ. ეზდა მოგაგროვოთ, ძალა ჩაგიდგათ. წყალო ჩემი ბიჭობისაო! ეზდა, ეზდა მოგაგროვოთ. გაგაგულადოთ, რათა ზაფხოლის გასოლს ნასესხებივით გალეკოლმა აღარ მიაკითხო დიდ ლიახვს, მობოდიშებით რომ ერთიეის მტკვარს გორის ციხესთან, ტრიფფონაზე გასესხებული, საგთვისზე გასესხებული...

ეყრი ბალასტს, ავდიკარ...

ბიეობიდან შემოყოლილი ნატვრა მაქვს, ნეტავ ეპლანერში ჩამსვა-მეთქი! ეძრაკო სისწრაფეში. ეზმოდ, გულაფფინებული რომ ბაეეგლასუნები ღრეზელთა თეთმფოლებს.

ილიას აჩრდილი არაგვზე ვადადებული ბოლიათი ხიდის ბეურკებს დასცქერის. ბრძოლაგადახდილი, დაღლილი მოდის ორბელიანი, სახე ეზნათის, გამარკვეულს ნანატრი გმირები მოპყვებოდნენ თან. სიცხნად თვალებს მოაპრელებს ბარათაშვილი განჯიდან მომავალი. სამშობლოში ბრუნდებიან ვმირები, ვინც „არ წაიღეს საფლავში ლაფით მოსვრილი პირები".

ავდიკარ, ავდიკარ...

ეგერა ლომთა ლომი ენგურჩეკი, საგუბართა საგუბარი, მამა ქართული ეაბალებისა. ახალგაზრდა მამა. დამრიგებელი პატარა მდინარეების საგუბარებისა. აი ვინა დგას. ან ვინ იხატება დიდი ილბას „აირდილის" სახედ. და დაძრულან ბიჭები და გოგოები ეაშხალის მშენებლობისაკენ. ვინ მოდგილის, რამდენ სიყვარულს ჩაეყრება სათეძველი ეს, ბოლიათ ეაშხალთან ეამეილშეილო შრომისას, სიყვარულისას, ურთიერთობისას. შრომაში ნაპოვნი სიყვარული, ერთადერთი და შეუცდომელი ახალგაზრდების მომავალი ბედნიერებისა, დაოჯახებისა, დაწერილშეილებისა. აი აქა ქრება ეამორიალისგან დაბადებული ეარეული ახალგაზრდების შორეს. ეაშხალთან ძნელია ეუმი ლაპარაკი. ეს არ შეიძლება ეთამბოლობა. ეს ყველაფერს თავისი სახელი, თავი და ბოლო აქვს... ყარი ბალასტს და ავდიკარ, ავდიკარ...

ეკორესმა მეგობრებმა მითხრეს. მეტისმეტად ნო ვაათრენ, ავერა წნორში მესაქონლეობის ეუზარმაზარ კომპლექსს ეყრება სათეძველი და ეს უნდა ჩაეროსდეს, ითი 'ათასი ჰექტარი მლაში მიწანიადაგების საჭიკრად ვაწმენდას და აკეკილებას ეყრება სათეძველი. საეკონის საქმე ეწყება. და ვასწი, საქმის მიხედე, რა მწერალია ხარ, ეს კამოჩნდებიო... ეკმექმედობისაგან დაგროვილი ჯართი ზოგიც ვზადვზა ვადაჭყარე, ერთბაშად ნე ამაჩატდებო...

ძველი კეფები ერთბაშად არ მიშვებს, ეოტა მადროვით, ორ თვეში ვარ ამ ზაფხოლს მსახობად დაკავებული, კომედიებში თანაც: „ეაისა თაისა სჭრიდნენ და მეწყალი არ მატკინთო", ჩემი საქმეც ასე გახლავთ. ეკლის-ეკვისტოს ამას შევალევ, სექტემბერში ბალღებს სკოლის კარებს შეკაღეინებენ, ბიჭსა — მეორეენ, ვოკაფის კიდევ მეოთხედ და პირველად მეთქი, ჯერ დიდას ვადაეხვევი, მერე ცოლსა და შვილსაო და ვავწნორელდები, მა რას ვიზამ...

ერთი თხოვნა მაქვს ერთ პატარა უბის წიგნაკად, გამოგვიცეთ საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრების ფრიად საკირო მასალები. კომკავშირული შემართების ახალი კალენდარი-ვით დაგვპირდება იგი ჩვენ.

**მერაბ ელიოზიშვილი.**

ქართველ ეროვნულ პიბლიოთეკა
ბოლოდის ძვარეაძვარ!

ფრიდონ ხალვაში

## რწმენის ხმა

მზეჩაფენილ ხნულების წიაღიდან ისმის —
იმშუშხება, ეოვიძებს
თესლი კომუნიზმის.
მწვერვალებო, აწოვეთ ძოძე მარად ერთგულ
მტკვარს, ჭოროხს და ალაზანს,
რიონსა და ენგურს.
ეს კოლხური ნისლია თუ ლეჩაქი ედიის? —
თეთრი, თეთრი მაისი
მთა-გორებზე დადის.
არ უჯერებს მოგონილ ლეგენდას და სიზმარს,
მიწა ახალ სამოსელს
ახლებურად იცვამს.
სამშვიდობო ზეციდან მზე ღიმილით დასცქერს
მთას, ყვავილით მოხატულს,
ველს, სახნისით ნაწერს.
ვიგრძენ სუნთქვა თვითეულ მარცვლისა და წვეთის,
ეს ქართული მიწაა —
მკვიდრი საბჭოეთის.
ყოველ წვეთში ბადაგის მტევანდანაწური
ჩაადუღა გლეხკაცმა
სალოცავი ძმური.
მინდორ-მინდორ თუ ზეგნად, სახვალიო მზისთვის
თვალებს ლურჯად გაახელს
ნერგი კომუნიზმის.
მწვერვალებო, აწოვეთ ძოძე მარად ერთგულ
მტკვარს, ჭოროხს და ალაზანს,
რიონსა და ენგურს,
რომ ახალმა ჰესებმა ამოოვარორ მძლავრად
ჩვენი მთების გულიდან
სიხათლეთა ქარვა.
ახალქმნილმა შუქურამ განა დაიმორცხვოს, —
შუქთა ოქროჩქერებით
დედამიწა მორწყოს!
დავუბრუნდეთ მომავალს,
ხომ მომავლად ვიშვით?!
გზაო, გზაო, მოგყვებით
მხოლოდ კომუნიზმში.

## იყოს ყოველთვის!

აფეთქებული ლურჯად მინდვრები
ჩემს დაჯერებულ ნაბიჯს მოელტვის,
მიწის და კაცის შრომას დიდება,
ეს სიდიადე იყოს ყოველთვის!

ამოფრენილან ფიქრის ფუტკრები,
ნექტარს ეწაფვის სიტყვა პოეტის.
თქვი, გაზაფხულო, ხომ დაბრუნდები!
ეგ დაბრუნება იყოს ყოველთვის.

სამყაროს უყვარს ხმათა მოსმენა
ჩიტის, ჩანჩქერის, კაცის, მოედნის,
უცნობ ველებზე, ნაცნობ ბორცვებზე
ხმა სიცოცხლისა ჩქეფდეს ყოველთვის!

რა საიმედო ნდობა მკვიდრდება,
ძმობა ენების, ძმობა ტოლების,
ამ საბჭოურად ყოფნას დიდება,
რწმენა მართლისა იყოს ყოველთვის!

გულის მხურვალე აგიზგიზებით,
გულო სპეტაკო, შენთან მოვედი,
იყოს ხუთწლედი, იყოს მიზნები
და საქართველო იყოს ყოველთვის!

## ბედის ფუჭარე

ხეს ხელებგაწვდილს
მოხვევია ეს გაზაფხული, —
სიცოცხლის აზრი
და ბუნების პატიოსნება,
გადაფრქვევია
ფერადები გადანახული
მიწას და ტოტებს, —
ჩემი ქვეყნის მწვანე ოცნებას.

წყურვილს მოვიკლავ,
მოიწყურდები უფრო ძლიერად,
შენ, ბედის წყაროვ,
ამომსკდარო მშობელ მიწიდან.

ყვავილთა დელგმით
ეს ტყე-ველი გადაირევა
და შენი გული,
შენი სიტყვა კვლავ მიმიზიდავს.

არ დაბერდება მცხეთა, სხალთა, ვორი, ხახული,
მიწა თბილისთან
უფრო ტურფად შეიმოსება
და ხელებგაწვდილ ხეებიდან
სხვა გაზაფხულიც
გადმოიღვრება,
ვით ბუნების პატიოსნება.

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘᲓᲐᲜ

# ᲕᲠᲝᲫᲚᲔᲕᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡ ᲒᲕᲚᲔᲕᲐᲜᲘ

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲙᲐᲠᲘᲐ

**ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ — ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲬᲔᲠᲘ**

ᲛᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲛᲘᲠᲘ

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲙᲐᲠᲘᲐ

ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲛᲘᲠᲘ



# ᲡᲣᲚ ᲛᲮᲠᲔᲑᲨᲘ ᲐᲘᲛᲚᲔᲑᲝᲓᲔ...

### ᲓᲔᲓᲐ᭭ᲐᲚᲐ᭭Ი ᲐᲮᲐᲚᲒᲐ᭭ᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებში პარტიისა და კომკავშირის ვეტერანებთან, საბჭოთა კავშირის გმირებთან და სოციალისტური შრომის გმირებთან, კომუნისტური შრომის დამკვრელებთან, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, სახელოვან სპორტსმენებთან — აი საბჭოთა ახალგაზრდობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებანი. დედაქალაქის ახალგაზრდობა ამ დღეებში (20-24 ივნისს) მოწმე და მონაწილეა ისეთი საინტერესო ღონისძიებებისა, როგორიც არის სამი თაობის შეხვედრა, შაბათობა სამრეწველო საწარმოებში, რაზმეულთა შეკრება თემაზე „სხვადასხვა ქვეყნის ბავშვები", მუშათა კლასში საზეიმო მიღება, სიმღერის. ზეიმი, სახალხო სეირნობა და მრავალი სხვა. ქალაქის კინოთეატრებში აჩვენებენ ახალგაზრდობის დღისადმი მიძღვნილ ფილმებს.

განსაკუთრებული გამოცოცხლებაა თბილისის ზღვის მიდამოებში, დიდძალი ახალგაზრდობა ეწვია საცურაო აუზს „ლოკომოტივს", კიკვიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკს ლენინის რაიონში, სადაც მოეწყო თემატური საღამო.

ახალგაზრდობის ისეთი ზეიმი, შრომითი აღმავლობა და ენთუზიაზმი სუფევს დედაქალაქში — მზიურ თბილისში, რომ არ შეიძლება პოეტის ერთი სტროფი არ მოგაგონდეს ცნობილი ლექსიდან: „სულ მხრებში აიმლებოდე, აზრით არწევდე მფრინავი, ვარდობა, ახალგაზრდობა, აფრა, ცეცხლი და ნიავი!..

ᲡᲬᲐᲕᲚᲐᲡᲐ და ცხოვრებაში ახალი წარმატებებით ეგებებიან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები თავიანთ დღესასწაულს — საბჭოთა ახალგაზრდობის დღეს. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტების ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): პირველ რიგში რამაზ ურუშაძე, ნიკოლოზ ჯავახ შვილი, იზა ხიმშიაშვილი, სოფიო შიხიანი, ლია ხიმშიაშვილი, ნიკოლოზ ბუჯიაშვილი, დათო ჩიხლაძე; მეორე რიგში: რობერტ ცირამუა, რუსლან რუხაძე, ოლეგ სულაბერიძე და გუგული გიუნაშვილი.

ხ. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ფოტო.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

# ᲚᲠᲛᲐ ᲙᲕᲐᲚᲘ

### Ა. Გ. ᲙᲐᲪᲘᲢᲐᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ და ამიერკავკასიაში რკინიგზების შენებლობის სათავეები მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელოვანი უფროსი თაობის ქართველ ინჟინერ მოღვაწეებთან. მათ შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ინჟინერსა და რევოლუციონერს ანდრია გიორგის-ძე კაციტაძეს. აი ზოგიერთი ცნობა მისი ბიოგრაფიიდან:

ა. კაციტაძე დაიბადა სოფელ ხოტევში (რაჭა) 1873 წელს. პირველდაწყებითი განათლება სოფელში მიიღო, ხოლო 1888 წელს ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. უმანის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში. მაგრამ იქიდან მალე გარიცხეს რევოლუციური პროპაგანდისათვის და ადმინისტრაციული წესით პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ქუთაისში გადმოასახლეს.

იგი ახარხეს ჩაირიცხოს ჯერ რიგის, ხოლო შემდეგ ხარკოვის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში, რომელსაც ამთავრებს 1893 წელს. ამის შემდეგ სწავლას აგრძელებს რიგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1900 წელს ა. კაციტაძე აქედანაც გაადევნეს სტუდენტთა მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის. მრავალ დაბრკოლებათა გადალახვის შემდეგ მეოლო 1904 წელს დამთავრებია კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; იმავე წელს ინჟინერ-მშენებლის დიპლომით ბრუნდება საქართველოში, მუშაობას იწყებს რკინიგზის სამტრედიის უბნის უფროსად.

1905 წლის რევოლუციის დროს იგი უყოყმანოდ დგება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკური ფრაქციის თანამგრძნობთა რიგებში, აქტიურ მონაწილეობას იღებს რევოლუციურ მოძრაობაში; მეფის რეაქციის დაჩაგრულ ალისანოვ-აზარკის სადამსჯელო ექსპედიციების სისხლიანი თარეშით აღშფოთებულმა სპორტსტატო დვეშით მიმართა მეფის ნაცვალს კავკასიაში, მოითხოვა გურიასა და ბათუმში დამსჯელი რაზმების აღვირახსნილი მოქმედების შეწყვეტა და სამხედრო წესების მოხსნა, ამავე დროს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის გადაყენება. ამის გამო იგი დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში მოათავსეს.

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ა. კაციტაძე ისევ რკინიგზაზე მუშაობს ჯერ კარალისში, შემდეგ მიხაილოვომი(სამარა), მერე კი ნახჩევანში. 1913 წლის ოქტომბრიდან იგი რკინიგზის ახალი ლინდაგების დაგების ხელმძღვანელობს სადგურ ჯულფიდან არაქსის ხიდამდე. ამ პერიოდში აგრეთვე მუშაობს თავრიზის რკინიგზის მშენებლობაზე.

ა. კაციტაძე სამშობლო გადადის ფოთში და აქტიურად ებმება ქალაქის ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობაში. 1917 წელს იგი მედის კომუნისტური პარტიის რიგებში. მას ირჩევენ ფოთის მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოში მენშევიკების ბატონობის წლებში ა. კაციტაძე კიდევ უფრო აძლიერებს რევოლუციურ მუშაობას და ასრულებს პარტიის პასუხსაგებ დავალებებს. ამასთან დაკავშირებით პარტიის წევრი 1903 წლიდან ელისაბედ ლეჟავა მოგვითხრობს: „1918 წლის გაზაფხულზე ლენინის დავალებით მოსკოვიდან ფოთში გვეხატუმრა კამო. აქ ჩემი ქმარი შამშე ლეჟავა ფერშლად მუშაობდა. კამო გვთხოვდა დახმარებას, რათა მოსკოვიდან გამოტანებული ფული, რომელიც პარტიის საჭიროებისათვის იყო გამიზნული, ქუთაისში ჩაეტანა. ჩვენ მას გავაცანით ფოთში რკინიგზაზე მომუშავე ინჟინერი ა. კაციტაძე, რომელმაც შეძლო თავისი ვაგონით ქუთაისამდე ჩაყვანა კამო და ლენინის ეს დავალება შეესრულებინა".

1918 წლის ბოლოს მენშევიკების მიერ რეპრესიების გაძლიერების გამო ა. კაციტაძე იძულებული გახდა წასულიყო სპარსეთში, საიდანაც 1920 წელს ბრუნდება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ 1921 წლის 8 მარტს ა. კაციტაძე დაინიშნა რესპუბლიკის რკინიგზების უფროსად და კომისრად. მას დიდი ღონისძიებების გატარება მოუხდა დანგრეული და მომავალი რკინიგზების აღსადგენად, მოძრაობის მოსაწესრიგებლად.

1922 წლის ივლისში საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოსთან დაარსდა ნატანებ-ოზურგეთის რკინიგზის მშენებლობის კომიტეტი, მშენებლობის უფროსობა მიენდო ა. კაციტაძეს, ხოლო მან მთავარ ინჟინრად მიიწვია ბუნა ინჟინერი გ. თუმანიშვილი. მშენებლობა წლიბა და ოთხი თვის განმავლობაში დამთავრდა. მშენებლობის უფროსი ა. კაციტაძე ენერგიული და თავდადებული მუშაობისათვის საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოდეს.

მომდევნო წელს ა. კაციტაძე საქართველოს გზატკეცილების სამმართველოში უფროსის თანამშრომელად დაინიშნა. მან მოუთმინა იგი ღონისძიებები გზასაფრცელელი რესპუბლიკის გზატკეცილებისა და რკინიგზების მშენებლობა-აღდგენის საქმეში. ზავი ზღვის სანაპიროს რკინიგზის მშენებლობა მეტად რთული იყო სპეციფიკური პირობების გამო. ამ გზის სამხრეთი ნაწილის (სენაკიდან გაგრამდე) მშენებლობაზე ხელმძღვანელად დაინიშნა ინჟინერი ა. კაციტაძე, მთავარ ინჟინრად — გ. თუმანიშვილი.

1930 წლის 1 მარტს მოხდა ზავი ზღვის რკინიგზის მშენებლობის რეორგანიზაცია. ეს გზა შეუერთდა ამიერკავკასიის რკინიგზებისა და გზების მშენებლობის სამმართველოს, რომლის ერთ-ერთ ხელმძღვანელად და მთავარ ინჟინრად ვხვდებთ ა. კაციტაძეს. იგი ამ თანამდებობაზე სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა.

საინჟინრო-ტექნიკურ მოღვაწეობასთან ერთად ის დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა. რამდენჯერმე იყო არჩეული საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად. აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს ტექნიკური საზოგადოების მუშაობაში. წლების მანძილზე სათავეში ედგა საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ საინჟინრო-ტექნიკური სექციის ბიუროს.

ა. კაციტაძე 1931 წლის 10 აპრილს გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს თბილისში ხუდადოვის ტყეში ძმათა სასაფლაოზე.

სახელოვანი ინჟინრის, პროფესიონალი რევოლუციონერისა და საზოგადო მოღვაწის ა. კაციტაძის შინაარსიანმა ცხოვრებამ თვალსაჩინო კვალი დატოვა სამამულო ტექნიკის განვითარების ისტორიაში.

Ბ. ᲗᲝᲒᲝᲜᲘᲫᲔ.
დოცენტი.

# ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘᲐ

**ᲨᲔᲯᲐᲛᲓᲐ** საუკეთესო ტურისტული სიმღერისათვის **მეხუთე სრულიად საკავშირო კონკურსის შედეგები**, რომელიც გამოაცხადა ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალურმა საბჭომ სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირთან და სსრ კავშირის მწერალთა კავშირთან ერთად. ყიურომ რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კომპოზიტორ ო. ფელცმანის თავმჯდომარეობით განიხილა ოთხასამდე ნაწარმოები და 11 საუკეთესო პრემიებით აღინიშნა.

დაჯილდოებულთა შორის არიან ქართველი კომპოზიტორები და პოეტები. პირველი პრემია მიენიჭა კომპოზიტორ **შ. მილორავას** სიმღერას **„ფელა-ფელიას"**, რომლის ტექსტი ეკუთვნის პოეტ **მ. ფოცხიშვილს**, მთესავე ერთობლივ ნამუშევარს **„ნორჩ ტურისტთა სიმღერას"** მიენიჭა მესამე პრემია.

მეოთხე პრემია დაიმსახურეს კომპოზიტორ **ო. თევდორაძის** მიერ **ი. მოხაშვილის** სიტყვებზე დაწერილმა სიმღერამ **„გზაში სიმღერით"** და **ვ. პანოვის** ლექსზე დაწერილმა ო. თევდორაძის სიმღერამ **„გზავრულმა"**.

კონკურსის შედეგებისადმი მიძღვნილ საღამოზე ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პ. პასეჩნიმ და ყიურის თავმჯდომარემ ო. ფელცმანმა ლაურეატებს გადასცეს ჯილდოები და ულუფრის ახალი შემოქმედებითი წარმატებანი. (საქინფორმი).

ᲙᲘᲣ-ᲓᲝ

ᲤᲔᲯᲑᲣᲠᲘ

## ᲓᲦᲔᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲖᲔ

**„Ა" ᲙᲚᲐᲡᲘᲡ** უმაღლესი ლიგის გუნდების საკაბამპიონო ჩემპიონატის მე-13 ტურის 8 მატჩი გაიმართება დღეს ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე.

გასული წლის ჩემპიონი — ეორომიოლოგიერადის „ზარია" უმასპინძლებს ლენინგრადის „ზენიტს"; მოსკოვის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან დედაქალაქის „დინამო" და „ცსკა"; დნეპროპეტროვსკის „დნეპრი" თავის მოედანზე მიიღებს ლვოვის „კარპატს"; ბელორუსის დედაქალაქში შეხვდებიან მინსკისა და კიევის დინამოელები; გათამაშების აუტსაიდერი „პახტაკორი" ტაშკენტში შეხვდება ალმა-ათას „კაირატს"; როსტოვის არმიელები მიიღებენ ერევნის „არარატს"; ე. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ლუჟნიკში იასპარეზებენ დედაქალაქის „ტორპედო" და „სპარტაკი".

ჩვენი რესპუბლიკის სპორტის მოყვარულთა განსაკუთრებულ ინტერესს, ცხადია, იწვევს მატჩი დონეცკში: „შახტიორი" — „დინამო" (თბილისი). შეხვედრის მეორე ნახევრის თადიორეპორტაჟი დონეცკიდან დაიწყება 21 საათზე თბილისის დროით.

□

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

### ᲛᲔᲝᲗᲡᲔᲓᲣᲜᲐᲚᲘᲡᲬᲘ

**ᲝᲓᲔᲡᲘᲐ** „ჩერნომორეცმა" ორჯერ დამარცხა (2:0 და 3:1) ყარაგანდის „შახტიორი" და საკავშირო თასის გათამაშების მეოთხეფინალის პირველი საგზური მოიპოვა, სადაც შეხვდება მოსკოვის „დინამოსა" და ლენინგრადის „ზენიტს" შორის გამარჯვებულს.

# ᲙᲚᲘᲕ ᲠᲘ. ᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ.** „კეთილ-კლუბის" კორტებზე გაიმართა ერთეულების დასკვნითი ასპარეზობა. თბილისელი ალექსანდრე მეტრეველი ნახევარფინალში შეხვდა თავის ძველ მეტოქეს, რუმინელ ილიე ნასტასეს და დამარცხდა — 8:6, 7:9, 5:7 (თუმცა ბოლო პარტიაში მიჰყავდა 4:1). ი. ნასტასეს ფინალში მოუგია ინგლისელ როჯერ ტეილორს — 9:7, 6:3.

ქალთა შორის წარმატება მოიპოვა მოსკოველმა ოლგა მოროზოვამ, რომელმაც ფინალში სძლია ავსტრალიელ ოვონ გუდაგონგს — 6:2, 6:3.

## ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲐᲠᲔᲯᲝᲠᲒᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე ვიმართა სსრ კავშირის პირველობის მორიგი მაჭრი თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდებს შორის. ანგარიშით 19:14 (9:0) გაიმარჯვეს ქართველმა რეგბისტებმა.



ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ ᲛᲔᲗᲝᲠᲛᲔᲢᲔ

# ᲝᲠᲢᲘᲛᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ

ᲑᲔᲛᲠ გამოჩენილ მოჭადრაკეს უყვარს ე. წ. „ბლიცი", ელვისებური პარტიების თამაში. მათ რიცხვში კორჩნოიც არის. ერთხელ, როდესაც იგი აგარაკზე, ლენინგრადიდან 30 კმ დაშორებით იმყოფებოდა, გროსმაისტერ ფურმანს სთხოვა მისთვის ვინმე პარტნიორი გაეგზავნა. ფურმანმა თავის მოწაფე კარპოვზე შეაჩერა ყურადღება და თანაც უთხრა: „კარგად დაიხსომე: თუ წააგე ეს მატჩი, ლენინგრადში ფეხით მოგიხდება დაბრუნება. სხვა საქმეა, თუ მოიგებ. მაშინ კორჩნოი თავის მანქანით ჩამოგიყვანს". სალამოზე ფურმანი და კარპოვი ლენინგრადში... კორჩნოის მანქანით დაბრუნდნენ.

კარპოვი დაიბადა 1951 წ. 23 მაისს. ასეთი ასაკის მიუხედავად იგი უკვე იყო მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი, გაიმარჯვა საერთაშორისო ტურნირებში. ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ კარპოვი ფიშერის სერიოზული მეტოქე გახდება. ახლა, როდესაც ლენინგრადში საშინთაშორისო ტურნირი მიმდინარეობს, კარპოვი თავიდანვე ლიდერთა შორის არის. იგი დიდი რისკის გაუწევლად თამაშობს (რისთვისაც ზოგი ჟურნალისტი მას ხუმრობით „ანტი-ტალს" უწოდებს), თავშეკავების შესანიშნავი უნარი და ჩინებული ტექნიკა აქვს.

კარპოვი ჯერ, ცხადია, ვერ აჩვენებს იმის მაქსიმუმს, რაც შეუძლია. თვით ახალგაზრდა გროსმაისტერის აზრით, მას გარკვეული შანსები აქვს ითამაშოს მსოფლიო პირველობის მატჩში 1978 წელს. ცხადია, ამ დროისათვის საჭადრაკო ოლიმპზე დიდი ცვლილებები მოხდება, მომძლავრდებიან ახალგაზრდა პრეტენდენტები, შეავიწროებენ ვეტერანებს.

როდესაც მსოფლიოს ჩემპიონ ფიშერს ჰკითხეს, რას იტყვის კარპოვის თამაშზე სან-ანტონიოში, ფიშერმა (რომელსაც არ უყვარს ვიხიმე შექება) ახალგაზრდა გროსმაისტერის შედეგს მაღალი შეფასება მისცა. ამერიკელ ჟურნალისტებს ამ ტურნირში კარპოვის წარმატება სულაც არ გაჰკვირვებიათ. მათ იგი ძირითად ფავორიტად მიაჩნდათ და გაოცება გამოთქვეს კარპოვს რომ პირველი პრიზის... გაყოფა მოუხდა. ასეთი დიდი ავტორიტეტი მოიპოვა ამ ჭაბუკმა გროსმაისტერმა.

ლენინგრადში კარპოვმა რამდენიმე პარტია ზუსტად, მშვიდად, თავისი ძალების რწმენით წარმართა. აი ამისი ერთი მაგალითი.

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ — ᲙᲐᲠᲐᲠᲝᲕᲘ

ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

1. e4 e5 2. ♞f3 ♞c6 3. ♗b5 a6 4. ♗a4 ♞f6 5. 0-0 ♗e7 6. ♖e1 b5 7. ♗b3 d6 8. c3 0-0 9. h3 ♞b8 10. d4 ♞bd7 11. c4 c6 12. ♗g5?! h6 13. ♗h4 ♞h5! 14. ♗:e7 ♖:e7 15. cb ab 16. ♞c3 b4 17. ♞b1? ♞f4 18. ♞bd2 ed! 19. ♞:d4 ♞e5 20. ♞2f3 ♖f6 21. ♞:e5 de 22. ♞f5 ♗:f5 23. ef ♕ad8 24. ♖f3 ♕d2 25. ♕e3! ♕:b2 26. ♕ae1 ♕e8 27. ♕e4 ♞d5 28. ♖g3 ♞c3! 29. ♕:b4 ♞e2+ 30. ♕:e2 ♕:e2 31. ♖b7? ♕e7! 32. ♖b8+ ♞g8!7 33. ♞f1 ♕d2 და თეთრები დანებდნენ.

უკვე მე-12 სვლაზე ტუმაკოვმა ახალი სვლა ითამაშა, მაგრამ კარპოვმა კარგად აუღო ალღოს შექმნილ მდგომარეობას და გაათანაბრა თამაში. რომ უხეირო მე-17 სვლა არა, ტუმაკოვი შეძლებდა პარტიის გადარჩენას. შემდეგში იგი მასვილგონივრულად თამაშობდა (25-ე სვლა!), მაგრამ კარპოვმა მეტად ენერგიული სვლებით მაინც გაიმარჯვა.

Ბ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

# ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲔᲪᲘᲣᲚᲘ?

ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ხელოვნურად შექმნილი პოზიცია, სადაც, წესისამებრ, უძლიერესი ორმხრივი თამაშის შედეგად თეთრებმა უნდა შეასრულონ დავალება — მოგება ან ყაიმი. როგორც ფორმით, ისე შინაარსით ეტიუდი არსებითად განსხვავდება ამოცანისაგან. თუ ამოცანაში მიზანი ყოველთვის ერთია — შავების მეფის დამამათება განსაზღვრული რაოდენობის სვლაში, ეტიუდის დავალება უფრო ზოგადია. მაგრამ ეს ერთი შეხედვით. სინამდვილეში ეტიუდის ამოხსნა უადრესად კოგრეტულია. გამჭრიახი ამომხსნელი ზუსტად აგნებს სვლების იმ რაოდენობას, რომელიც ავტორს აქვს გამიზნული აშკარად მოსაგები ან საყაიმო პოზიციის მისაღებად. ეტიუდისტის მიერ მსატვრული ხერხით შექმნილი ძირითადი თამაში (მთავარი ვარიანტი) დავალების გადაწყვეტის ერთადერთი სწორი გზა უნდა იყოს. თანაამოხსნა აქაც, როგორც ამოცანაში, დაუშვებელია.

ამოხსნა შეიძლება ქიმით იწყებოდეს, თუმცა პირველ სვლაზე ფიგურის აღება არ არის სასურველი. ეტიუდის ამოხსნა შედარებით რთული, რადგან საეტიუდო პრინციპების ცოდნის გარდა იგი ჭადრაკის თამაშის სათანადო პრაქტიკულ ძალას მოითხოვს. საჭადრაკო ხელოვნების ეს ლამაზი და უთუოდ ენერგია განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მოჭადრაკეთა შორის, ვინაიდან იგი უშუალო კავშირშია საჭადრაკო პარტიასთან.



ᲛᲝᲒᲖᲔᲑᲐ

ამახთანავე, ეტიუდში უფრო რელიეფურად, ეკონომიურად და ეფექტურად მჟღავნდება ფიგურათა ორთაბრძოლისათვის დამახასიათებელი საინტერესო და ესთეტიკური მომენტები.

კარგი ეტიუდი თავისებურად შეიძლება მივაშაგავოთ მახვილგონივრულ სიუჟეტიან დრამატურგიულ ნაწარმოებს ბედნიერი ფინალით — თეთრების ლოგიკა და მოხერხებულობა იმარჯვებს შავების ჭკუასა და ძალაზე.

მაგალითისათვის გავეცნოთ გამოჩენილი საბჭოთა ეტიუდისტის მ. ლიბუშრკინის ნაწარმოებს (ახალგაზრდა დიაგრამა).

საწყისი პოზიცია ბუნებრივია და პარტიის დამოლოებას მოგვაგონებს. ძალთა თანაფარდობა საყაიმოა და თეთრების შანსი ფიგურის მოგებაში უნდა ვეძიოთ. 1. ♗a2 ♖g1 2. ♗g2. თეთრებმა თითქოს შეასრულეს გეგმა, მაგრამ, როგორც შემდეგ ირკვევა, შავებს საკმაო კონტრთამაში აქვთ: 2... ♞gf3! 3. ♖:g1 ♞gf2 4. ♖e1 e4! თეთრების ეტლი ხაფანგში გაება, ხოლო მეფე შეიბორკა. 5. ♞e6 e3. ახლა შავები იმუქრებიან ყაიმით: 6. ♞d4 e2+! 7. ♞:e2 ♞f1 და თეთრი მხედრის ნებისმიერ სვლას მოჰყვება 8... ♞e3+ მუდმივი ქიმით. აღნიშნული ვარიანტი თეთრებისათვის მხოლოდ მცდარი ქვალია და იგი უდავოდ ამოღებულ და სილამაზეს მატებს ნაწარმოების საერთო შინაარსს. ნამდვილი თამაში კი შემდეგნაირად ვითარდება: 6. ♞c5!! e2+ 7. ♞gd2 ♞f1+ 8. ♞gc1! (ამ სვლის ერთადერთობის განსაზღვრას მკითხველებს ვანდობთ) ♞g:e1 9. ♞c3X ბრწყინვალე ნაწარმოებია!

Ვ. ᲜᲔᲘᲫᲔ.

## ᲕᲘᲜ ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲐ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" 10 ივნისის ნომერში დაბეჭდილი ნ. ფანჯაკიძის (წაღვერი) ეტიუდი. (♞g6, ♗b4, ♞b3: a6, c5, h2 — ♞ga7, ♗c1, ♞f3. მოგება) შემდეგნაირად იხსნება: 1. c6 (1. ♗e1? ♗d2+!) ♗e3 2. ♗e1 f2 3. ♗:f2 ♗:f2 4. h4! (4. ♞gb5? ♞gb8!) ♗:h4 5. c7 ♗d8! 6. cd8! და იგებენ.

ეტიუდის ფინალი 1920 წელს განახორციელა გამოჩენილმა ფრანგმა კომპოზიტორმა ჰ. რინკმა. მიუხედავად ამისა, დამწყები ეტიუდისტის მიერ შექმნილი ნაწარმოები მთლიანად საკმაოდ ორიგინალურია და კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.

ეტიუდმა ჩვენი მკითხველების დიდი ინტერესი გამოიწვია. ზოგმა ავტორისეული გაგრძელების მხოლოდ 5 სვლას მიაგნო, რაც სრულ ამოხსნად ვერ ჩაითვლება. ეტიუდი სწორად ამოხსნეს: ᲒᲐᲛᲠᲔᲚᲘᲫᲔ, Ა. ᲜᲘᲜᲬᲐᲫᲔ, Კ. ᲜᲘᲙᲣᲠᲐᲫᲔ (ყველა — თბილისი), Კ. ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ (ᲬᲘᲝᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ Რ. ᲡᲝᲤ. ᲐᲗᲑᲘᲚᲘᲡᲙᲐᲚᲘ), Ე. ᲮᲣᲑᲐᲫᲔ (ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲘᲡ Რ. ᲡᲝᲤ. ᲬᲘᲓᲔ ᲮᲘᲛᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ).

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲯᲝᲜᲐᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ

# ᲭᲘᲣᲒᲜᲔᲠᲛᲐ ᲒᲐᲘᲑᲝᲠᲫᲘᲙᲐ...

ᲑᲔᲛᲠ სპეციალისტი მოელოდა, რომ ჭიუბნერი ძლიერად ითამაშებდა ფინიშზე. უკანასკნელ მომენტამდე ასეც იყო, მაგრამ ან მე-14 ტურში „საქმეში ჩაერია" ესტეტიკა. ჭუბელ ოსტატს არც სოლიდური თეორიული მომზადება აქვს, სტრატეგიულ თამაშშიც მოიკოჭლება, მაგრამ ჩინებული ტაქტიკოსია. ჭიუბნერი შეეცადა შავებით დაებნია ესტეტი, მაგრამ ამას პირუკუ შედეგი მოჰყვა — უკვე მე-15 სვლისათვის გროსმაისტერის პოზიცია კრიტიკული იყო. მალე ჭიუბნერს დანებება მოუხდა. სმეიკალ-კორჩნოი და ულმან-ტალი ყაიმზე შეთანხმდნენ, ტორემ მოუგო ტუმაკოვს.

კარპოვმა მოსაგებ პოზიციაში გადაიყო პარტია რუკავიანასთან. ახალგაზრდა გროსმაისტერს გარანტირებული აქვს სამეულში მოხვედრა — ახლა იგი პირველ ადგილს უმიზნებს. ბირნმა ციტენტრში დიდი უპირატესობა მიიღო კინტერროსთან. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ გადადებულ პოზიციას მოიგებს, ამერიკელი მოჭადრაკის სატურნირო მდგომარეობა კვლავ განმტკიცდება. კინტერროსს ახლა მცირე შესაძლებლობა დარჩა იბრძოლოს გროსმაისტერის ნორმისათვის. იგივე ითქმის კუზმინზე, რომელსაც ლაზიერების ენდშპილში პაიკი აკლია ვლიეტრინთან და, ეტყობა, ვერ იხსნის პარტიას. ტაიმანოვმა, რომელმაც გვიან, მაგრამ აშკარად უმატა თამაშს, მოსაგებ პოზიციაში გადადო პარტია რადულოვთან. ლარსენის მდგომარეობა ძირითადად უცვლელი დარჩა — მან გამოტოვა პარტია კუდლატთან მეტოჭის ავადმყოფობის გამო. რა თქმა უნდა, ჭიუბნერის დამარცხებამ ლარსენი გაამხნევა, მაგრამ სამეულში გასახვლელად მას ფინიშზე თითქმის მაქსიმალური შედეგის მიღწევა დასჭირდება.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲙᲠᲐᲜᲔᲑᲖᲔ

# ᲜᲐᲪᲣᲚᲐᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲔᲡᲡᲚᲝᲕᲠᲝᲓ

ᲝᲪᲓᲐᲠᲘ წლის განმავლობაში ბესარაბია რუმინეთის უღელქვეშ იმყოფებოდა. ხალხი იბრძოდა მოთალდეებისა და მჩაგვრელების წინააღმდეგ, აჯანყებებს აწყობდნენ მუშები, გლეხები. რუმინელი ბოიარების მამულებს სწვავდნენ, მოითხოვდნენ, რომ ბესარაბია საბჭოთა მოლდავეთს შეერთებოდა...

ფართოეკრანიანი ფილმი „ᲜᲐᲪᲣᲚᲐᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲝᲓ" („მოლდოვა ფილმი") აღადგენს მოლდავეთის რევოლუციური წარსულის სახელოვან ფურცლებს.

ფილმი დადგეს რეჟისორებმა ნიკოლაი გიბუმ და მიხაილ აზროალიევმა, მთავარ როლებს ასრულებენ ცნობილი კინომსახიობები ვლადისლავ დვორეცკი, ბორის ზაიდენბერგი, ვიაჩესლავ ბალევიჩი, ანატოლი სოლონიცინი და სხვები.



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: კადრი ფილმიდან „ნაცულარები სამახსოვროდ".

# ᲪᲮᲔᲚᲘ ᲗᲝᲕᲚᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ პრემიის ლაურეატის, მწერალ იური ბონდარევის რომანი „ᲪᲮᲔᲚᲘ ᲗᲝᲕᲚᲘ" დაედო საფუძვლად რეჟისორ გაბრიელ ეგიაზაროვის ამავე სახელწოდების ფართოფორმატიან ფილმს („მოსფილმი").

ფილმის ყურადღების ცენტრშია ერთი ბატარიის ჯარისკაცებისა და ოფიცრების ბედი, რომლებიც მდინარე მიშკოვზე იყვნენ გამაგრებულნი და გმირული თავგანწირვის ფასად არ უშვებდნენ პაულიუსის საშველად მიმავალ მანშტაინის ტანკებს. ამ ბრძოლის შედეგებზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული...

მთავარ როლებს ასრულებენ გ. ჟუენოვი, ა. კუზნეცოვი, ბ. ტოკარევი, ი. ნაზაროვი და სხვ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: კადრი ფილმიდან „ცხელი თოვლი".


ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

24 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

10.05 — დილის ვარჯიში ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთათვის „მაღვ